განკარგულება:**გ-49. 4924103001**
თარიღი:**12/04/2024**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 10 აპრილის №48-4824101156 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ევროკავშირისა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დაფინანსებით გამოცხადდა პროექტი „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“, რომლის მთავარი ამოცანაა რეგიონებში ხელი შეუწყოს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას, შესაძლებლობების გაფართოების, ქსელებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით. აღნიშნული პროექტი მოიცავს რამოდენიმე ეტაპს. გადაგზავნილი განაცხადის მიხედვით წარმატებით იქნა გადალახული საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპი და მოპოვებულია ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის გრანტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და მე-100 მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ პუნქტის შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს გოეთეს ინსტიტუტს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი